საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1052-02
02/05/2024

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში ტურიზმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ " რექტორის 2024 წლის 1 მაისის N1003-02 ბრძანების ბათილად გამოცხადების შესახებ

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 19 აპრილის N7084-35 სამსახურებრივი ბარათისა და 2024 წლის 30 აპრილის N4 აკადემიური საბჭოს გადაწყვეყილებით მომზადდა და გამოცხადდა აკადემიურ თანამდებობებზე 18 ბრძანება. ბრძანებების ატვირთვის დროს გაიპარა ტექნიკური შეცდომა და ერთი და იგივე ბრძანება აიტვირთა ორჯერ, შესაბამისად ბათილად უნდა გამოცხადდეს 2024 წლის 1 მაისის N1003-02 ბრძანება.
,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 60[1] მუხლის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების" საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბათილად იქნას ცნობილი რექტორის 2024 წლის 1 მაისის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში ტურიზმის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ " N1003-02 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან.
2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
3. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისათვის: ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი